ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6112227

ნომერი: AR1919222

თარიღი : 22.08.2022

გაცემის თარიღი : 06.09.2022

გაცნობის თარიღი : 06.09.2022

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 8 , (ნაკვ.01/058) ; ქალაქი თბილისი , გენერალ გულუას ქუჩის დასაწყისი (ნაკვეთი 01/045);

დამკვეთი-განმცხადებელი
- გიორგი ხმალაძე პ/ნ 35001018932
- კ. მაყაშვილის ქ. #1/10

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია,რომლის პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

01.....მოთხოვნის შინაარსი -> ....მოთხოვნის ტექსტი: განიმარტოს არსებულ შენობასთან დაკავშირებით.

02.... ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 26/07/2022 წლის N01.012220715 ბრძანების თანახმად, საპროექტო მიწის ნაკვეთზე სპეციალური ზონალური შეთანხმება გაცემულია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (1 984 კვ.მ - 75%, 1 110 კვ.მ - 90%) განთავსების მიზნით. აქედან გამომდინარე, საჭიროა წარმოდგენილი იქნას შესაბამისი ფუნქციების პროცენტულობის გაანგარიშება და დაცული იქნას სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ განსაზღვრული ფუნქციების პროცენტულობა.
..ობიექტის ფუნქციური დანიშნულება -> ....ფუნქციური დანიშნულება : ველში მიუთითეთ ფუნქციების პროცენტულობა, გაითვალისწინეთ, 14-39 დადგენილების თანახმად, მრავალფუნქციურია შენობა არის ორი ან მეტი ფუნქციის მქონე, სადაც რომელიმე ძირითადი ფუნქცია არ აღემატება შენობის საერთო ფართობის 75 %-ს.

02.....საინფორმაციო დაფა-ბანერი -> ....საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.:
წარმოადგინეთ ბანერის ამსახველი კითხვადი ფოტომასალა.
ბანერზე მიეთითოს შემდეგი ინფორმაცია:
ა) მშენებლობის ნებართვის მაძიებლის საკონტაქტო ინფორმაცია;
ბ) მიწის ნაკვეთის მისამართი;
გ) მშენებლობის სახეობა და შენობა-ნაგებობის ფუნქციურ დანიშნულება;
დ) მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება/მისამართი და განაცხადის განხილვის ვადები;
ე) შენობა-ნაგებობის სავარაუდო სართულიანობა ან/და გაბარიტები.
საინფორმაციო დაფაზე უნდა განთავსდეს მხოლოდ ზემოაღნიშნული მუხლით განსაზღვრული ინფორმაცია და დაუშვებელია მისი სარეკლამო მიზნებისათვის გამოყენება.

03. საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთზე შენობის ან/და ნაგებობის განთავსების სქემა: წარმოდგენილი იქნას შენობის განთავსების სქემა, ხე-ნარგავებიდან შენობამდე და შენობიდან საკადასტრომდე მანძილების მითითებით.

04. თბილისის ინტერაქტიულ რუკაზე (http://maps.tbilisi.gov.ge) ხაზობრივი ნაგებობების ფენაში ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები:
- წყალმომარაგების ძირითადი ქსელი;
- ბუნებრივი აირით მომარაგების ძირითადი ქსელი;
- ელ. მომარაგების ძირითადი ქსელი;
- ინტერნეტის ქსელი;
- სადრენაჟო ინფრასტუქტურა,(სანიაღვრე ქსელი);
- ხაზოვანი ნაგებობა: ს/კ: 01.00.324, ს/კ:01.00.386 მესაკუთრე სააქციო საზოგადოება „სილქნეტი“
- ხაზოვანი ნაგებობა: ს/კ:01.00.900,ს/კ: 01.00.868 მესაკუთრე სააქციო საზოგადოება „თელასი“
- ხაზოვანი ნაგებობა: ს/კ:
საჭიროა წარმოდგენილი იქნას ნაკვეთზე არსებული ყველა ხაზოვანი ნაგებვობის მესაკუთრის მიერ გაცემული თანხმობა ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით.

აქვე გაცნობებთ, არასრულყოფილი დოკუმენტაციის გამო სამსახური ამ ეტაპზე სრულად ვერ გიდგენთ ყველა შესაძლო ხარვეზს.
გაცნობებთ, რომ ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. მოცემულ ვადაში ხარვეზების შეუსრულებლობის შემთხვევაში განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.